ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად! # 20-21 (10059) •27 maisi • 2014 w.

# ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 40 თეთრი

## 26 მაისი –საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

გაზეთი „ალიონი“




გუშინ,ქალაქ ოზურგეთის ცენტრალურ მოედანზე სამხედრო ტექნიკა იყო გამოფენილი. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამხედრო ნაწილების ოფიცრები და ჯარისკაცები მნახველებს ტექნიკის დანიშნულებას უხსნიდნენ.

ოზურგეთის ,,ჭადრების ბაღი“საგამოფენო დიდ დარბაზს მოგაგონებდათ, სადაც გამოფენილი იყო თამაზ და გია დარჩიების, ნატო ყალიჩავას, შორენა კიკუტაძის, ნინო კეჭაყმაძის, მირანდა ვანიძის ფერწერული ტილოები, გრაფიკული ნამუშევრები, ფოტოსურათები. მნახველთა სიმრავლე იყო ცნობილ კარიკატურისტის რევაზ ჯაშის ნამუშევრებთან. დიდ ინტერესს იწვევდა რევაზ ცქიტინიძის და ზურაბ ჩხარტიშვილის ფოტონამუშევრები, ძველი ფოტო და კინოაპარატები.

კინოთეატრ ,,ოზურგეთის“ წინ ოზურგეთის საბავშვო და მოზარდ მაყურებელთა თეატრი მთელი დღის განმავლობაში თოჯინურ სპექტაკლებს ატარებდა ბავშვებისათვის. იქვე ოზურგეთის სამხატვრო სკოლის მოსწავლეები ხატავდნენ. ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკას ახალი მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა ჰქონდათ წარმოდგენილი.

,,ჭადრების ბაღში“ ეთნოგრაფიული კუთხე ჰქონდათ წარმოდგენილი, სადაც ფოლკლორული ანსამბლები გამოდიოდნენ. მსურველებს შეეძლოთ ხალხური რეწვის ნიმუშები შეეძინათ.

ოზურგეთის თანამედროვე ხელოვნების ცენტრი-სურათების გალერეაში საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მხატვარ ლადო მალაზონიას 110 წლისთავისადმი მიძღვნილი პერსონალური გამოფენა გაიხსნა. გაიხსნა მისი სახელობის ,,ოქროს პალიტრა.“

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის წინ კონცერტი გაიმართა.

ამ დღეს სპორტული ღონისძიებებიც გაიმართა. გინესის მრავალგზის რეკორდსმენმა გოდერძი მახარაძემ ორი ახალი რეკორდი დაამყარა.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

## შოთა გოგიბერიძემ ბრიფინგი გამართა

ნუგზარ ასათიანი

**ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში დავით თარხან-მოურავი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ქ.ოზურგეთის მერობის კანდიდატმა შოთა გოგიბერიძემ ბრიფინგი გამართა**

მან ჟურნალისტებს ალიანსის ქ. ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები რუსუდან მეგრელიშვილი, ომარ ბაკურაძე, გოჩა ძიძისტარიშვილი და თენგიზ ლომაძე წარუდგინა.

შოთა გოგიბერიძემ განაცხადა:

,,–საფრთხე ექმნება ბიძინა ივანიშვილის უმთავრეს მონაპოვარს, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად იტვირთა ერის ლიდერობა და ხალხთან ერთად,ჩვენთან ერთად შესძლო მშვიდობიანი გზით ხელისუფლების შეცვლა.

სამწუხაროდ, ქართულმა ოცნებამ ვერ მოახერხა თავი დაეღწია ნაციონალური მოძრაობიდან პორტირებული მედროვეებისა და კლანურ-მაფიოზური ჯგუფების გავლენებისაგან. ის,რაც ხდება ოზურგეთში,



▶▶▶ გვ-2

უფასო პოლიტიკური რეკლამა

## კახა კუკავამ ოზურგეთის მერობის და მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატი წარადგინა

გაზეთი „ალიონი“

**დღეს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საარჩევნო ბლოკმა ,,არასაპარლამენტო ოპოზიცია კახა კუკავა-ფიქრია ჩიხრაძე“შეხვედრა გამართა**

–რეალურად უნდა მოხდეს საკრებულოების გადახალისება არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებით, რადგან ,,ნაციონალური მოძრაობა“ და ,,ქართული ოცნება“ მუდმივ კოჰაბიტაციაში არიან და თუ გვინდა რეალური ცვლილებები, მხარი უნდა დავუჭიროთ არასაპარლამენტო ოპოზიციას–განაცხადა კახა კუკავამ.




მანვე ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატად ირმა კვაჭანტირაძე, ხოლო გამგებლობის კანდიდატად მინდია კეჭაყმაძე წარადგინა.

კახა კუკავამ ასევე დაასახელა პარტიულ სიებში №1 ნომრები ოზურგეთში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში: ავთანდილ სურგულაძე, მერაბ წილოსანი, გურამ ბერძენიშვილი.

–იმედები გაგვიცრუვდა. სამწუხაროა, ისეთ არჩევანს ვაკეთებთ, ქვეყანაში მოგვყავს ერთი პოლიტიკური ძალა. თუ ხალხი მოგვცემს ხმას, იგი უნდა იყოს დაცული.საქართველოს სჭირდება რეალური ცვლილებები–თქვა შეხვედრაზე მანანა ნაჭყებიამ.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

## გურიაში გამარჯვების განსაკუთრებული შანსი გვაქვს

გაზეთი „ალიონი“

დღეს, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში საარჩევნო ბლოკის ,,ნინო ბურჯანაძე–ერთიანი ოპოზიცია“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ პრეზენტაცია გამართა.

–სამი წლის წინ, ამ დროს დიდი განსაცდელის წინაშე ვიდექით. ისეთივე მასშტაბური რომ ყოფილიყო საპროტესტო აქციები თბილისში, როგორც ეს ბათუმში იყო, ვერ გაბედავდნენ ჩვენს დარბევას. მაშინ ყველა ტელევიზია ჩვენს წინააღმდეგ მუშაობდა. ,,ქართულმა ოცნებამ“კი მოგვაშორა ,,ნაციონალური ხელისუფლება,“მაგრამ გამგეობებში, პოლიციაში, პროკურატურაში –კვლავ ნაციონალური კადრებია. ვინმეს სჯერა საქართველოში,რომ ,,ცოცხების“პარტიამ საპრეზიდენტო არჩევნებში 22 პროცენტი მიიღო და ნინო ბურჯანაძის პარტიამ 10 პროცენტი? ხელისუფლებაში ჩვენ არ გვყავს ისეთი ადამიანები, რომლებიც საქართველოს ინტერესებს დაიცავს, ამიტომ მოვითხოვთ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს.

დარწმუნებული ვარ, რომ გურიაში განსაკუთრებული შანსი გვაქვს გამარჯვების. თუმცა, შანსი გვაქვს ჩვენ მთელ საქართველოში, რადგან ნამდვილად ვგრძნობთ ხალხის მხარდაჭერას. ვცდილობთ, ყველგან წარვადგინოთ ისეთი კანდიდატურები,რომლებსაც აქვთ სუფთა წარსული,რომლებსაც აქვთ ავტორიტეტი და იცნობს ადგილობრივი მოსახლეობა. ამ ადამიანებს ნამდვილად აქვთ იმის უნარი,რომ გააკეთონ ამომრჩევლების მობილიზაცია და მიიღონ მხარდაჭერა, ხოლო შემდეგ გადაწყვიტონ ის პრობლემები,რომელიც აწუხებს მოსახლეობას.




შემდეგ ნინო ბურჯანაძემ თეატრში შეკრებილ საზოგადოებას ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატი კახა ჩავლეიშვილი, ჩოხატაურის გამგებლობის კანდიდატი ავთანდილ ჯაში, ლანჩხუთის გამგებლობის კანდიდატი დარეჯან ესართია, ქ. ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები ლეო თოიძე, გივი ნაკაიძე, ბარნაბ მგელაძე, გოჩა გორდელაძე, გოგა გეგეჭკორი წარუდგინა.

–ახლა გვაქვს შანსი, ხელისუფლებაში მოვიდე ჩემს გუნდთან ერთად –განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

–ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ვგრძნობ მხარდაჭერას გურულების. დღეს წარვადგინეთ საკმაოდ ძლიერი და პოპულარული ადამიანები. ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და ვიცი, რომ ჩემს ქალაქში ჩვენ გავიმარჯვებთ.- განაცხადა ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატმა კახა ჩავლეიშვილმა.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

## ნათელაშვილს ყველაზე მეტად გურია, ოზურგეთი ეიმედება

მარი კოძოევი

– ,,გურიაში, ოზურგეთში როცა ჩამოვდივარ უკან ყოველთვის ახალ პოლიტიკურ აკადემია დამთავრებული მივდივარ" თქვა შალვა ნათელაშვილმა ოზურგეთლებთან შეხვედრისას. ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ამომრჩევლებს 25 მაისს ჭადრების ბაღში შეხვდა.

ნათელაშვილმა ადგილობრივებს საარჩევნო პროგრამა გააცნო, მხარდაჭერისკენ მოუწოდა და ამჟამინდელი ხელისუფლების მისამართით კრიტიკა არ დაიშურა. კოალიცია ,,ქართულ ოცნებას" ,,მილიონერთა კლუბი და უწოდა"



▶▶▶ გვ-4

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 27 მაისი სამშაბათი | 28 მაისი ოთხშაბათი | 29 მაისი ხუთშაბათი | 30 მაისი პარასკევი | 31 მაისი შაბათი | 1 ივნისი კვირა | 2 ივნისი ორშაბათი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, ღრუბელი +15+24 | მზე, ღრუბელი +15+25 | მზე, ღრუბელი +17+23 | მზე, +19+28 | წვიმა +20+22 | მზე, ღრუბელი +18+23 | მზე, ღრუბელი +20+25 |

# მედია და ბავშვთა უფლებები

მარი კოძოევი

21 მაისს „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის" საკონფერენციო დარბაზში გაიმართა საჯარო ფორმატის დებატი რეზოლუციაზე-„მედიაში ბავშვთა უფლებების გაშუქების სტანდარტი დაცული უნდა იყოს"



დებატებში ლიდერთა სკოლის მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ჟურნალისტები თეა იოსელიანი და გიორგი გირკელიძე.

დებატის თემა ახალგაზრდების მედიაზე დაკვირვებით შეირჩა. ჩვენს დროში როცა საქველმოქმედო მიზნით, მასმედიის მიერ ხშირად შუქდება არასრულწლოვანთა პრობლემები-რამდენადაა დაცული ბავშვის უფლებები? ილახება თუ არა მოზარდის ღირსება მისი რამე ფორმით იდენტიფიცირების შემთხვევაში? რამდენად გამართულია სტანდარტი? ეს ის ძირითადი კითხვებია, რომელთა შესახებაც წარიმართა დი-სკუსია

საჯარო ფორმატის დებატის სტრუქტურის მიხედვით, თავდაპირველად მომხსენებლებმა წარმოადგინეს საკუთარი პოზიციები რეზოლუციასთან დაკავშირებით. მეორე მომხსენებლების გამოსვლის შემდეგ, აუდიტორიის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ კითხვებით მიემართათ მომხსენებლებისთვის. ხოლო მესამე ნაწილში დამსწრეებს შეეძლოთ გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები რეზოლუციასთან და მოდებატეების მიერ პოზიციის დაცვასთან დაკავშირებით.

# თემურ ბოლქვაძის შემოქმედება

„....და დამრჩა მხოლოდ შენი სურათი, ჩემი თვალებით გადაღებული..."



ვის შეეძლო ასეთი სულში ჩამწვდომი სტრიქონების შემოთავაზება „ალიონის" ფართო მკითხველისთვის, თუ არა ქ-ონ ეთერ ქადეიშვილს.

ვფიქრობ, გამოხმაურება ძალზე საჭიროა.

ჩემს პატარა და ულამაზეს სოფელს საკმაოდ კარგი წარსული აქვს. მრავალი სასახელო და გამორჩეული პიროვნება ქმნიდა ამ ისტორიას.

მინდა მოგითხროთ პიროვნებაზე, რომლის შემოქმედებაც ყველა თაობამ უნდა იცოდეს.

ადამიანი, რომელსაც ძლიერ უყვარდა თავისი სამშობლო, თავისი კუთხე, ლამაზი სოფელი, რომლის კეთილმოწყობის უამრავი გეგმა განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ დარჩა მისი ლექსები:

„იყოს უსაშველო ჩემი სიყვარული,
იყოს უსაშველო, როგორც დედის გული.
ღმერთო, გამაგონე! — წრფელი გულით თქმული
ჩემი ერისა და ხალხის სიყვარული.

წერდა ილიაზე, გალაკტიონზე, ქართველ ხალხზე უზომოდ შეყვარებული.

**ილიას**

შენთან შესაკითხად მოვლენ თაობები
და ასე იქნება, მწამს.
გულის ფეთქვა იყავ მთელი საქართველოს,
მწყურვალს აწოდებდი წყალს,
შენი დაწყებული საქმის ეროვნულის
ფესვები ახლა ჩანს.
შენი დანთებული სიმართლის ლამპარი
ახალი სიმხურვალით მწვავს,
კვლავ დაუდექი ენის სიწმინდეს და
რწმენა ჩაუნერგე ხალხს.
სამშობლოს გასაჭირი გქონდა სატკივარი
თავი ანაცვალე მას.
ყველა პოეტისთვის ხარ სასწაული
მწერალი შეჰყურებ მთას,
შენთან შესაკითხად მოვლენ თაობები
და ასე იქნება, მწამს.
1986წ. 31 იანვარი.

და საოცარია ლექსი გალაქტიონზე, რომელსაც მან სათაურად შეურჩია:

**თავშეყრა იყო პოეტების საიქიოში**

გალაკტიონი ვინახულე გუშინ სიზმარში,
კვერთხით ხელში და მუზების ტახტზე დამჯდარი,
თავშეყრა იყო პოეტების საიქიოში
ჩვენგან წასული სალოცავი მგოსანთ ლაშქარის.
გოგლა ნატრობდა ნატვრის ხეს და გაშლილ პურ-მარილს
ბესარიონი ცეცხლს აფრქვევდა - კრიტიკის ქარცეცხლს,
გრგვინავდა ლომი საქართველოს — გალაკტიონი,
მეწყერს ნატრობდა ტიციანი და ფიქრებს ანცებს.
ეს ნონეშვილი ადღეგრძელებს მშობლიურ კეთხეს,
ჯარისკაც მირზას ფარაჯაც კი არ გაუხდია,
თბილისურ ჰანგებს გრიშაშვილი ღიღინით აფრქვევს
ლადოს სტროფები სანთელივით ჩამოუქნია.

მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მას მუზების ღმერთი აწერინებდა: „სანამ სამშობლოს დავჭირდები, შეღავათს არ მივცემ თავს."

ის სამშობლოს თავისუფლებაზე ოცნებობდა:

„ღერთო! ნუღარ დაგვაჭირვებ ხმალის ქნევას,
მუხლმოყრილი მშვიდობას გევედრები!"

მასაც სტკიოდა სამშობლოს სატკივარი. ეს ჩემი სოფლის თხინვალის მკვიდრის თემურ ბოლქვაძის შემოქმედების ერთი პატარა მონაკვეთია. პატარა, მაგრამ უსასრულო. მისი ცხოვრების განვლილი გზა მთლიანად დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს ეკუთვნის, მან ლექსებით დაწერა თავისი ბიოგრაფია.

ჩემი სატკივარი და საფიქრალი ჩემი ერია, ჩემი საქართველო

ვიცინი, ვტირი, ვფხიზლობ თუ ვთვრები
ფიქრმა ქვეყანაზე აღარ მომასვენოს,
ხნულში მატაროს და ვაზი მაკრეფინოს
ყრმები მალოცვინა აკვანში,
პური მათესვინა, კალო მალეწვინა,
კვერი მაცხობინა ღადარში.
მთის წვერს ამიყვანა ორბთა სიმაღლეზე,
მკერდში ჩამახუტა ჭალები
ერთი მაბანავა დედა მდინარეზე,
ცხვრების მათვლევინა ფარები,
ჯვარი მაწერინა სულყველასთვის
ფიქრი სევდიანი გვაშოროს,
მომთხოვ? თავს გავწირავ შენი გულისათვის
ოღონდ შენ იხარე სამშობლოვ!

დაუსრულებლად შეიძლება წერო და ისაუბრო მის პოეზიაზე.

დამაყარე, გეხვეწები აპრილის თვევ
დამაყარე... ყვავილების თქეში.
ამაფეთქე - ვარდისფერად ატმის ტოტზე
და გამათბე გაზაფხულის მზეში.
მასუნთქინე ოხშივარი მიწის ბელტის
სიყვარული გააღვიძე ჩემში.
ნუშის ტოტებს დაათოვე ყვავილები,
აატირე განასხლავი ზვრებში!
ატანტალე ფეხშიშველა ყრმა მიწაზე,
ლანქერს მიეც დასაბამი მთებში,
მზის სხივები დააყარე დილის ცვარზე,
მაყვავილე მეც აპრილის თვეში!

წავიდა და დაგვიტოვა ცრემლით, ტკივილითა და სიყვარულით სავსე ლექსები. უნდა ვეცადოთ, რომ მისი ლექსები ყველასთვის ახლობელი იყოს.

„მე მოვედი, რომ ლექსებად დავრჩე ხალხში,
მზის სხივი ვარ, წყაროსთვალი და სიმღერა,
ღრუბელი ვარ და ელვა ვარ მაღლა ცაში,
ყვავილი ვარ და ტალღების შმაგი ღელვა,
ტკივილი ვარ და ცრემლი ვარ ჩემი ქვეყნის
და მე მისთვის სამსხვერპლოზე ჩემით ავალ,
მჭირდებიო — საქართველო ჩუმად მეტყვის,
მე კი ლექსებს დავტოვებ და ისე წავალ..."

სამწუხაროა, რომ უდროოდ, მართლაც ყველაფერი ისე მოხდა, მაგრამ ბედნიერებაა, რომ ის არსებობდა.

**ნონა ბაბილოძე**

თხინვალი.

# მურმან დუნდუა

## ახალი ლექსები



პოეტი მურმან დუნდუა სამი კრებულის ავტორია. ამჟამად გამოსაცემად მზადდება მისი ლექსების მეოთხე კრებული, რომელსაც მალე მიიღებს მკითხველი.

შენ უნდა გახდე ტაძარი
შენი სულისა წმიდისა
ეს არის აღთქმა მთავარი
და რჩევა ჩვენი უფლისა.
მაშინ შენ შექმნი ცხოვრებას,
ლაღსა და საწადს გულისა.

***

ჩვენ ჩვენი სიკვდილით
ვერავის დავსჯით,
რადგან ჩვენ ხვედრი
ასეთი გვერგო.
სიკვდილის დასჯა
სიკვდილით,
მხოლოდ იესომ შესძლო.

***

რუსული ანდაზის თარგმნა
ჩამომაშორეთ მე „მეგობრები"
მტერს კი მე თვითონ გავუსწორდები.

**ველოდი და არ გასწორდა**

ველოდი და არ გასწორდა
ბოლმისაგან გასკდა გული
ღარიბს ბატის ნახარში და
მდიდარს ძველი ინდაური.

***

აახმიანე ერო ფესვები,
მყრალ დებულებებს ნუ მისცემ ადგილს,
ქართველი კაცის ადათწესები
მართლმადიდებლურ მცნებებში გადის.

# ირაკლი ბებურიშვილის გახსენება



როცა სევდა შემომაწვება, ფიქრებს მივეცემი, ჩამოვჯდები და შენს ბავშვობას ვიხსენებ. თუმცა ძალიან სევდიანი და მძიმე ბავშვობა გქონდა შვილო ირაკლი. შენი მოვლენით დიდი სიხარული და სიყვარული შემოიტანე ბებურიშვილების ოჯახში. შემდეგ კი 4 წლიდან შენს ბავშვურ სულს ხელი მოჰკიდა იმ დროისთვის განუკურნებელმა სენმა. 7 წელი ვიბრძოდით დასამარცხებლად, თუ თბილისში, თუ ლენინგრადში, თუ მოსკოვში, ვაი თუ . . . . ამ ლოდინით დავიღალეთ. თითოეული ანალიზის შემდეგ თვალებში შემომციცინებდი, რომ დაგენახა მომავლის იმედი. მაგრამ ვაი, რომ დავმარცხდით.

40 წლის უკან, მაისის ერთ მზიან დღეს გამიცინე და მითხარი „დედი, წელს 11 აგვისტოს 11 წელი მისრულდება, ასეთი ჩემს ცხოვრებაში მეტი აღარ იქნება"-ო, მაგრამ უფალმა 22 მაისს გულში ჩაგიხუტა და დაბადების დღე მარადიულობაში გადაგიხადა.

ჩემო ბუთხუზა, ლამაზო, კეთილო შვილო, ბოლო წუთებში გულში ჩაგიკარი და ჩაგძახე — ირაკლი დედა, არ მომიკვდე მეთქი, შენს თავს ვფიცავ არ მოგიკვდებიო — მითხარი და აი, ამ სიტყვებით დაგვაშორა დედა-შვილი უფალმა.

იძინე ტკბილად ჩემო ტანჯულო, სულით ლამაზო შვილო. მოუთმენლად დაველოდები იმ ბედნიერ წუთებს, როცა მეორედ დაიბადები, გულში ჩაგიკრავ და მარად ერთად ვიქნებით.

თვალცრემლიანი ვუცქერ სურათებს,
მომაგონდება განვლილი წლები,
დრო თურმე ტკივილს ვერა, ვერ კურნავს
ჩემო ირაკლი სულ მენატრები.

შპს ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეულის" თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყოფილი თანამშრომელი **მარლენ დოლიძე** და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ალიონის" რედაქცია იუწყება გაზეთის მეგობრის **მარლენ დოლიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა









"მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზრდება და ეს იქნება შესაძლებლობა, ორჯერ მეტი საქმე გავაკეთოთ ჩვენი სოფლების განსავითარებლად"


"ჩემი მიზანი რაიონის, კუთხის ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლაა"




"ხალხი ხელმძღვანელობს ხელისუფლებას და არა პირიქით "

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე

უფასო პოლიტიკური რეკლამა

# მადლობა ბიძინას, რომ ისეთი ხალხი მოგვაშორა, ვინც არ იყო ჩვენს რიგებში ყოფნის ღირსი“

მარი კოძოევი



22 მაისს, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა ექადიის მოსახლეობასთან წინასაარჩევნო შეხვედრა გამართეს.

ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატმა ლევან გოგუაძემ, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებმა ირინა საჯაიამ, ოთარ რევიშვილმა, ,,ნაციონალური მოძრაობის“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე მიხეილ გოგოტიშვილმა ექადიელ ამომრჩევლებს მათი საარჩევნო პროგრამა გააცნეს და მხარდაჭერისაკენ მოუწოდეს.

—,,ჩვენ დავბრუნდებით ისე, როგორც ეკადრება ,,ნაციონალურ მოძრაობას,“— განაცხადა შეხვედრაზე ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატმა, ლევან გოგუაძემ. მისივე თქმით, ქვეყანა აღარ ვითარდება, ,,ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ერთ ადგილას ვდგავართ. “ ამიტომაც ხელისუფლების შეცვლა და ,,ნაციონალების“ დაბრუნება აუცილებლობად მიაჩნია გოგუაძეს.

,,ნაციონალური მოძრაობის“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, მიხეილ გოგოტიშვილმა თქვა, რომ პარტია არჩევნებში განახლებული შემადგენლობით იღებს მონაწილეობას. ასევე აღნიშნა, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნებში ,,ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, ზოგიერთმა ყოფილმა ნაციონალმა პარტია დატოვა: —,, მადლობა ბიძინას, რომ ისეთი ხალხი მოგვაშორა, ვინც არ იყო ჩვენს რიგებში ყოფნის ღირსი“— თქვა გოგოტიშვილმა.

—,,ექადია ჩემი უბანია და ძალიან მეწყინება, რომ აქ წავაგო,“— თქვა ექადია-ანასეულის საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ირინა საჯაიამ.

# ნათელაშვილს ყველაზე მეტად გურია, ოზურგეთი ეიმედება

გურულებს მათი ,,პოლიტიკურ მოუსავლეთში-საარჩევნო რევოლუციით" გასტუმრება თხოვა.

,,ყველა ადამიანს უყვარს თავისი ოჯახი, მაგრამ უფრო მეტად ეიმედება უფროსი ან უმცროსი შვილი, და ან ძმა, მე ოზურგეთი, გურია მეიმედება" განაცხადა ნათელაშვილმა და მერობის კანდიდატად მირზა ჩხიკვიშვილი წარადგინა.

ასევე წარადგინა სოფლის და ქალაქის დეპუტატობის კანდიდატები.

სიის პირველი ნომერია დავით მამალაძე, რომელშიც ნათელაშვილის თქმით ,,განსახიერებულია აჯანყებული გურულის ყველა თვისება?.

ასევე კანდიდატები არიან: მარიამ ჩხარტიშვილი-ჯუმათი, ჯამლეტ ზურაბიანი-გურიანთა, კორადო სალუქვაძე-ძიმითი, სალომე გაგუა-ჭანიეთი, გურამ ბაბილოძე-მაკვანეთი, შოთა ქავჯარაძე-ლიხაური, გელა ლესელიძე-მერია,მაია დარჩიაბაილეთი, ნოდარ თამამაიშვილი-ბოხვაური, გური მდინარაძე-ვაკიჯვარი, ელდარ ირემაძე-ნასაკირალი, შოთა მელუა-ბახვი, ნოდარ ნაცვალაძე-ასკანა, გოჩა დოლიძე-სოფ. ოზურგეთი, ვახტანგ ნოზაძე-ლაითური, იაგორ გუჯაბიძე-ურეკი, გულადი მარგველაშვილი-ნარუჯა, სოფიკო ხარეხელაშვილი-მელექედური, ჯონდი ბასილია-დვაბზუ, დავით კეჭაყმაძე-შრომა.

ქალაქის საკრებულოს დეპუტატობისთვის იბრძოლებენ: ნათია შარაშენიძე, გიორგი მახარაძე, მზიული ჭკადუა, ზაზა თავაძე, ხათუნა გაგუა.

,,ჩვენ მოვდივართ სუფთა ხელებით, თქვენი გვერდიდან და არა შუშის სასახლიდან?თქვა ნათია შარაშენიძემ

ნათელაშვილის თქმით ,,დღეს ქართულ პოლიტიკას ყველაზე მეტად ექვთიმეობა აკლია, გურიაში კი ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგია ყველაზე მეტადაა განივთებული ისტორიულად.

შალვა ნათელაშვილს გურიაში ვიზიტისას თან მეუღლე ბელა ალანია ახლდა, ,,ჩემი ცოლი წამომყვა, ის ხომ 25 პროცენტი გურულია.- თქვა ნათელაშვილმა.

# შოთა გოგიბერიძემ ბრიფინგი გამართა

ზემოთაღნიშნულის ნათელი მაგალითია.

ოზურგეთელებმა იციან, რომ კოალიცია ქართული ოცნება ქ. ოზურგეთის მერობის პოსტზე ჩემს კანდიდატურას განიხილავდა. მოსახლეობისა და კოალიციის შემადგენელი პარტიების ლიდერთა აბსოლუტური უმრავლესობა მხარს სწორედ ჩემს კანდიდატურას უჭერდა იმ უმთავრესი მოტივით, რომ ვიყავი კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი, პოლიტიკური ფიგურა,რომელიც 3 წლის განმავლობაში ბიძინა ივანიშვილის და ,,ქართული ოცნების“ სახელით ვესაუბრებოდი მოსახლეობას. თანამებრძოლებთან ერთად სოფელ-სოფელ,უბან-უბან, ქუჩებსა და დასახლებებში თავგანწირული გაბედულებით ვამსხვრევდით საზოგადოებაში ნაციონალების მიერ ჩანერგილ და ფესვგადგმულ შიშს.

ვიყავი კოალიცია „ ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების„ ოზურგეთის საარჩევნო შტაბის პოლიტ-საბჭოს წევრი და ქალაქ ოზურგეთის ( გაერთიანებული 2 საარჩევნო ზონის ) კოორდინატორი. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარლამენტის წევრობის კანდიდატის სტატუსით ვიბრძოდი ( ამჟამადაც გახლავართ ამ სიის 82-ე ნომერი). ვხელმძღვანელობდი ქალაქის 360 კაციან აქტივს. ხოლო 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ვიყავი კოალიცია ,,ქართული ოცნების“ ოზურგეთის შტაბის შეხვედრების კოორდინატორი. ორივე ბოლო არჩევნებში ორგანიზება გავუკეთეთ 100-ზე მეტ შეხვედრას მოსახლეობასთან.

სწორედ მე ვგეგმავდი და ვახორციელებდი ყველა მრავალრიცხოვან საპროტესტო აქციასა და მანიფესტაციას ოზურგეთში. ჩემი განუყრელი მეგაფონით ვიყავი კოალიცია ,,ქართული ოცნების“ სახე, დროშა და ხმა.

ჩემი და ჩემი თანაგუნდელების მაღალორგანიზებულობა, შიდასტრუქტურული დისციპლინა, საკუთარი და ოჯახის წევრების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკის ფასად გადადგმული გაბედული ნაბიჯები გახდა საწინდარი ოზურგეთში ,,ქართული ოცნების“ გამარჯვებისა. ეს არაერთხელ აღნიშნა თვით ბიძინა ივანიშვილმა, რომელმაც წინასაარჩევნო პოლიტსაბჭოს ორ სხდომაზე განსაკუთრებულად ისაუბრა ჩემზე, როგორც რეგიონულ ლიდერზე.

2012 წლის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, ვიგრძენი რა პროცესები არასწორად მიმდინარეობდა, დავგეგმე და ჩავატარე არაჯანსაღად გაგებული კოჰაბიტაციის საწინააღმდეგო ხალხმრავალი საპროტესტო აქცია, რომელზეც მოვუწოდე ხელისუფლებას გაეთვალისწინებინა შექმნილი პოლიტიკური ვითარება და როგორც ჯანსაღი პოლიტიკური კანონზომიერების გამოხატულება, დაეწყო დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენელთაგან ხელისუფლების გასუფთავება. ეს ნაბიჯი სავარაუდო საბოტაჟის პრევენცია იქნებოდა. სამწუხაროდ ადგილობრივ,, ქართულ ოცნებას“ არც ამისი რესურსი აღმოაჩნდა და მოსახლეობა ადგილობრივ სტრუქტურებში იგივე გამაღიზიანებელ სახეებს ხედავს.

ასევე, კარგად ახსოვთ ოზურგეთელებს, სააკაშვილის მიერ საპრეზიდენტო ვადის გახანგრძლივების წინააღმდეგ, ჩემს მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციები,როდესაც სააკაშვილი და მისი ნაცბანდა სიმბოლურად ,,დავასაფლავეთ,“ რამაზ ნიკოლაიშვილის მიერ ოზურგეთის ,,ჭადრების ბაღში“ დატოვებულ ე.წ.ყორღანზე, რომელსაც ჩემი მერობის პირველსავე კვირაში მოვაცილებ ჩემს საყვარელ ქალაქს.

პოლიტიკური გუნდის ლიდერების სრული იგნორირებით, ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატად ქართულმა ოცნებამ ბეგლარ სიორიძე დაასახელა. მიმაჩნია, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი შეცდომაში შეიყვანა კლანურმა დაჯგუფებამ, ხოლო ბეგლარ სიორიძე ურთულეს უხერხულ ვითარებაში ჩააყენა.

რაც არ უნდა ეცადონ, სიმართლისმოყვარულ და განათლებულ ოზურგეთელებს ვერავინ შეაყრის თვალებში ნაცარს და ვერავინ ჩააყენებს სირაქლემას პოზაში. ყველამ იცის, თუ რას აკეთებდა ნაცრეჟიმის პირობებში ამჟამად ქალაქის მერობის მსურველი ზოგიერთი კანდიდატი. სად იდგნენ 2012 წელს, ვისთან ერთად იმყოფებოდნენ ქვეყნისთვის გადამწყვეტ მომენტში..

ამ გადაწყვეტილებამ ქალაქში შოკის ეფექტი იქონია. მოსახლეობაში სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით არსებულმა იმედგაცრუებამ და ნიჰილიზმმა პიკს მიაღწია. აღშფოთებულმა ადამიანებმა ამჯერად უკვე ,,ქართული ოცნების“ ოფისის მიაყარეს ცოცხები და გააკეთეს საპროტესტო წარწერები. პირადად ჩემთვის ეს დრამატული მომენტი იყო,რადგანაც ჩემს თანამებრძოლებთან ერთად ყველა სასიცოცხლო და მატერიალური რესურსი ,,ქართული ოცნების“ იდეის გამარჯვებისათვის ბრძოლაში ჩავდე.

საპროტესტო ნაბიჯი გადადგეს ადგილობრივი კოალიციის ლიდერებმა, რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელებმა ბატონმა ტიფო მიქატაძემ და ქალბატონმა მარინა სუნგულიამ, რომლებმაც უმსგავსობას თავიანთი ღირსეული პოზიცია დაუპირისპირეს და დატოვეს კოალიცია. დატოვეს პარტია, რომელსაც მათი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი უკავშირდებოდა.

პირადად მე კი იმთავითვე შევპირდი ჩემს ოზურგეთელებს, რომელთა უმრავლესობის მხარდაჭერას ვგრძნობ, რომ ხალხის თავგანწირვით მიღწეულ გამარჯვებას ვერავის გადავაბარებდი და გამოვძებნიდი საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებულ გზას, რათა მიმეღო მონაწილეობა არჩევნებში, როგორც მერობის კანდიდატს.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ უდიდეს მადლობას ვუხდი პოლიტიკურ გაერთიანება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს,“ უფრო სწორად საარჩევნო სუბიექტს „ დავით თარხან-მოურავი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსს",რომელმაც ოზურგეთელებს მისცა შანსი გააკეთონ ღირსეული და სასურველი არჩევანი და დამარეგისტრირა საოლქო საარჩევნო კომისიაში. მე კი მომცა საშუალება ამ ეროვნულ პოლიტიკურ ძალასთან ერთად გავაგრძელო ბრძოლა სამართლიანობის აღდგენისათვის, ჩემი ქალაქისა და საზოგადოების მსახურებისათვის.

15 ივნისის არჩევნები ოზურგეთელთათვის იქნება ჭეშმარიტად სინდისისა და ღირსების არჩევნები. მე, როგორც ღვიძლი შვილი ჩემი ქალაქისა, თქვენთან ერთად არ დავუშვებ ჩვენი საზოგადოების უკან, წარსულისაკენ დაბრუნებას. ვიქნები თქვენი ნების შემსრულებელი, დაქირავებული, თქვენს სამსახურში მყოფი სახელმწიფო მოხელე, რომელიც ყველაფერს გააკეთებს ქალაქის განვითარებისათვის, შეჭირვებულთა დახმარებისათვის, კომუნალური და სხვა ადგილობრივი სამომხმარებლო ტარიფების შემცირებისათვის და ზოგიერთის გაუქმებისათვის, ხალხის დასაქმებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფისათვის, ვეტერანთა და ახალგაზრდების მიმართ ზრუნვისათვის. ვიქნები ყველა თქვენგანის ოჯახის წევრი და თანამდგომი.“—განაცხადა შოთა გოგიბერიძემ.

# მერობის კანდიდატების გეგმები და პრიორიტეტები

მარი კოძოევი




24 მაისს ოზურგეთის მერობის კანდიდატებთან შეხვედრა დემოკრეტიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა. შეხვედრა „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის" ორგანიზებით პროექტის „აირჩიე ქალაქის მერი" ფარგლებში გაიმართა.

პროექტის მიზანს მერობის კანდიდატების, მათი პროგრამებისა და შეხედულებების საზოგადოებისთვის უკეთ გაცნობა წარმოადგენდა.

მერობის ხუთმა კანდიდატმა ბეგი სიორიძემ („ქართული ოცნება"),ლევან გოგუაძემ („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"), შოთა გოგიბერიძემ („საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"), კახა ჩავლეშვილმა, (ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია) მირზა ჩხიკვიშვილმა („ლეიბორისტული პარტია") არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის და სხვა დაინტერესებული პირების კითხვებს უპასუხა.

— ჩვენი უპირატესობა სხვა კანდიდატებთან შედარებით, იმთავითვე ჩადებულია საარჩევნო სუბიექტი ,,დავით თარხან-მოურავი-- ,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ საარჩევნო პროგრამაში, რომელიც მთლიანად ადამიანზეა ორიენტირებული. კერძოდ, მცირე და მიკრო ბიზნესის ხელშეწყობის ფონდის შექმნა, სტარტაპის დაფინანსება ყოველგვარი ფინანსური პირობებისა და გირაოს გარეშე, უფასო სამედიცინო მუნიციპალური ობიექტის შექმნა, პროგრამების უფასო სწავლება; უპოვართათვის ზრუნვა — მათი კვება და ჩაცმა-დახურვა. ამას ემატება ჩემი პირადი უნარ-ჩვევები — პროფესინალიზმი და პატიოსნება. აღნიშნა **შოთა გოგიბერიძემ.**

**ლევან გოგუაძემ** თავდაპირველად უკრაინაში დაღუპულებისთვის წუთიერი დუმილით პატივის მიგება სთხოვა დამსწრეებს. შემდეგ კი იმ საკითხებზე ისაუბრა რაზეც მისივე თქმით გოგუაძის გამარჯვების შემთხვევაში გამახვილდება ყურადღება. ადგილობრივი ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების განხორციელება, სკოლამდელ ბავშვებზე მეტად ზრუნვა, ადგილობრივი კულტურული და სპორტული ცხოვრების გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურული პროექტებია გოგუაძის პრიორიტეტები. „მე წარმოვადგენ გუნდს, რომელმაც ამ ყველაფრის განხორციელებისთვის საჭირო გამოცდილება დააგროვა. დროა განვითარების და მოქმედების, გვეყო ოცნება" განაცხადა გოგუაძემ.

ოცნების კანდიდატმა, **ბეგი სიორიძემ** ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაზე გააკეთა აქცენტი. „მე არაფრისგან შევქმენი თანამედროვე ტიპის საწარმო. დავასაქმე ადამიანები. მე ვიცი, როგორ უნდა დავძლიოთ უმუშევრობა, შევქმნათ უკეთესი ბიზნეს გარემო. განვლილი გზის დაგროვილი გამოცდილებით დავეხმარები ადამიანებს დასაქმებაში. ბევრი დაპირებებს არიგებს, მაგრამ არ იცის როგორ განახორციელოს. მე მაქვს ამ კუთხით გამოცდილება, ეს ჩემი უპირატესობაა" განაცხადა სიორიძემ.

**კახა ჩავლეშვილი:** „რატომღაც ყველას გამორჩა, რომ სერიოზული პრობლემა გვაქვს თვითმმართველობაში. არ არის კომუნიკაცია ხალხსა და ხელისუფლებას შორის. ჩვენ მივცემთ ჩვენს ქალაქს რეალურ თვითმმართველობას."

ჩავლეშვილის აზრით, მერობის მსურველი რამდენიმე მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს მათ შორის, უნდა იყოს საკუთარი ქალაქის გულშემატკივარი. ,,ყველაზე მნიშვნელოვანია დამოკიდებულება საკუთარი ქალაქისადმი, მე ვარ ოზურგეთის გულშემატკივარი და ეს არ არის მხოლოდ ბრტყელი სიტყვები, ასევე საჯარო თანამდებობის მაძიებელი უნდა ფიქრობდეს იმ წნეხზე, რომელიც მისი მისამართით წამოვა. ამისთვის მზად უნდა იყოს" განაცხადა მან.

**მირზა ჩხიკვიშვილის** აზრით, ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა მიგრაციაა,მისი თქმით,საჭიროა აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად გადაიდგას ნაბიჯები. „ცუდი მდგომარეობაა კულტურისა და ხელოვნების მხრივ,- აღნიშნა ჩხიკვიშვილმა. — საჭიროა პრიორიტეტების სწორად შერჩევა და იმ რესურსის სწორად გამოყენება რაც ოზურგეთს აქვს.

# „მე მიყვარს ოზურგეთი და ყველა ოზურგეთელი!“

## ბეგლარ სიორიძე



„თქვენ ყველა ჩემთან ერთად იქნებით ჩვენი ქალაქის მერი და აქტიურ მონაწილეობას მიიღებთ მის განვითარებაში“



„გეპირებ საზოგადოებრივი დარბაზის შექმნას, რომელსაც შესაფერის სახელწოდებას შევურჩევ. მასში ჩვენი ქალაქის ინტელიგენციის აქტიურ წარმომადგენლებს გავაერთიანებ და მათთან ვიმსჯელებ იმ პრიორიტეტებზე, რაც ჩვენს ქალაქს სჭირდება“.



„მერობის გადაწყვეტილება მიმაღებინა ჩვენი ქალაქის უსაზღვრო სიყვარულმა. რაც აქამდე გამიკეთებია, თამამად მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ჩემი მერობის შემთხვევაში ოზურგეთი გახდება სრულიად სხვა ქალაქი. თითოეული თეთრი, რომელიც ბიუჯეტში იქნება, დაიხარჯება მიზნობრივად და ჩვენი ქალაქის საკეთილდღეოდ“.



„ჩათვალეთ, რომ ბეგი სიორიძე არის თითოეული თქვენთაგანის ახლობელი და იმ ოჯახის ახლობელი, ვისაც ჩვენი ქალაქისთვის კეთილი საქმეების გაკეთება სწადია“.



უფასო პოლიტიკური რეკლამა

# „გავაკეთოთ ის არჩევანი, რომელსაც არა ხათრი, არამედ სინდისი გვკარნახობს“

## ინტერვიუ ქალაქ ოზურგეთის მერობის კანდიდატ შოთა გოგიბერიძესთან.

**—ბატონო შოთა გვიამბეთ თქვენს შესახებ.**

— დავიბადე 1966 წელს ქ. ოზურგეთში. მამა, გურამ გოგიბერიძე ინჟინერ ტექნოლოგი, დედა, ვალენტინა არობელიძე — ეკონომისტი. გავიზარდე ოზურგეთულ ტრადიციულ ოჯახში. საშუალო სკოლის წარჩინებით დასრულების შემდეგ, წარმატებით ჩავაბარე მისაღები გამოცდები ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. 1984 წლის დეკემბერში, უკვე სტუდენტი, გამიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, რის გამოც სწავლა გავაგრძელე 1986 წელს და დავამთავრე 1991 წელს. ვიყავი ბედნიერი, რომ უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად, აქტიურად ვიყავი ჩართული საქართველოს ახალფეხადგმული ეროვნული მოძრაობის აქციებში, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

1992 წელს დავბრუნდი მშობლიურ ქალაქში და მუშაობა დავიწყე რაიონული გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსად.

1993 წელს, პირველივე სამობილიზაციო დაძახილზე ჩემი მცირედი, მოკრძალებული წვლილი შევიტანე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის ბრძოლაში. „მხედრიონის“ მოხალისეებთან ერთად მონაწილეობა მივიღე ე.წ. ტამიშის ოპერაციაში. ამ ომის შესახებ ჩემი შთაბეჭდილებები ავსახე დოკუმენტურ მოთხრობაში „გადაძახილი„ რის მიხედვითაც დადგმული სპექტაკლი მუსიკალურ კომპოზიციასთან ერთად იხილა ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მაყურებელმა.

**— ბატონო შოთა, როგორც ვიცი, თქვენ სხვა სტრუქტურებშიც გიმუშავიათ?**

—დიახ 1995 წელს, როდესაც სახელმწიფოს მეთაურმა მიიღო გადაწყვეტილება შეექმნა რეგიონული სახელისუფლებო სტრუქტურები, დავინიშნე გურიის სამხარეო ადმინისტრაციის მაშველთა კორპუსისა და სამართალდამცავი სამსახურების კოორდინატორად. ხოლო 1996 წელს დავინიშნე გურიის საოლქო პროკურორის თანაშემწედ. 1997 წელს დავბრუნდი ადგილობრივ მმართველობაში ოზურგეთის რაიონის გამგებლის პირველი მოადგილის რანგში და 1999 წლამდე ვხელმძღვანელობდი მრავალპარტიული რაიონული საკრებულოსა და რაიონული გამგეობის ერთობლივ აპარატს. მძიმედ მახსენდება 1998 წლის ზაფხული, როდესაც გალში განვითარებული მოვლენების გამო ჩვენს ქვეყანას კიდევ 40 000 ლტოლვილი შეემატა. ქვეყანაში დაწყებული ეკონომიკური ზრდის ტენდენციები და პროგრესის პერსპექტივა ისევ დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა. პირადად ვხელმძღვანელობდი გალის მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული ტვირთის მობილიზებისა და სამეგრელოში მისი განაწილების აქციებს.

1999 წელს, გურიის მაშინდელი გუბერნატორის, აწ განსვენებული კარლო გუჯაბიძის გადაწყვეტილებით, დავბრუნდი სამხარეო ადმინისტრაციაში და დავინიშნე საორგანიზაციო სამსახურის უფროსად. კარგად მახსენდება ჩემი თანამშრომლობა იმ პერიოდში გააქტიურებულ სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციებთან. სწორედ მაშინ, როდესაც ქვეყანა კორუფციის ჭაობში იძირებოდა, გურიის სამხარეო ადმინისტრაციასთან შევქმენი და სათავეში ჩავუდექი ანტიკორუფციულ საზოგადოებრივ საბჭოს, რომელმაც ერთგვარი დისონანსი შეიტანა რეგიონში მოქმედ სხვადასხვა კორუფციულ სქემებში. პირადი მონაწილეობა მივიღე ჩემი უფროსი მეგობრების, ჩემი ყოფილი პედაგოგების ( გია მეფარიშვილი და სხვ. ) მიერ ანტიკორუფციული კანონმდებლობის შემუშავებაში.

ასევე აქტიური მონაწილეობა მაქვს მიღებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შემუშავებასა და შემდეგ უკვე მიღებული კოდექსის პოპულარიზაციის საქმეში. გაეროს განვითარების ფონდის მიერ ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ საჯარო მოხელეთა კონკურსში გავიმარჯვე, დავიკავე პირველი ადგილი და დავჯილდოვდი კომპიუტერული ტექნიკით, რომელიც დავამონტაჟე სამხარეო ადმინისტრაციაში ( ეს იყო პირველი კომპიუტერი ამ სტრუქტურაში ).

**— გასაგებია, რომ იყავით ძალიან აქტიური სახელმწიფო მოხელე., მაგრამ მინდა შეგეკითხოთ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გაწეულ თქვენს საქმიანობაზე, რასთან დაკავშირებითაც საზოგადოებაში გარკვეული შეკითხვები არსებობს. თითქოს იღებდით მონაწილეობას საკადრო გადაწყვეტილებებში და ა.შ. ?**

—დიახ, მსმენია ჩემი არაკეთილმოსურნეების მხრიდან მსგავსი ჭორების შესახებ. ვფიქრობ ეს ამ ადამიანების არაკომპეტენტურობისა და არაინფორმირებულობის ბრალიცაა. დღეს ყველამ იცის, რომ ნაციონალური მოძრაობის პერიოდის ყველა სტრუქტურაში გადაწყვეტილებები მხოლოდ პირველი პირებისა და სპეციალური სამსახურების ხელმძღვანელების კონსულტაციების შედეგად მიიღებოდა. მე კი არასოდეს არც ერთი ვყოფილვარ და არც მეორე. 2007 წლამდე, ჩემი საჯარო სამსახურში მუშაობის დროს არასოდეს ჩავრეულვარ რაიმე პოლიტიკურ პროცესში, რადგანაც არასოდეს ვყოფილვარ პოლიტიკური ფიგურა. მაგრამ ვიყავი მაღალი პროფესიონალიზმის მქონე სახელმწიფო მოხელე, რომლის ნიჭი და უნარი სჭირდებოდა ქვეყანას.

ამიტომაც არ არის მართებული ჩემი ცხოვრების ამ ეტაპის პოლიტიკურ წარსულთან გაიგივება. ასეთი რამ ბუნებაში უბრალოდ არ არსებობს.

**— მინდა შეგეკითხოთ სამხარეო ადმინისტრაციიდან თქვენს წამოსვლასთან დაკავშირებით, რადგანაც ამ თემაზეც სხვადასხვა მოსაზრება ვრცელდება...**

—მინდა გითხრათ, რომ მე, როგორც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა, იმედის თვალით ვუყურებდი „ვარდების რევოლუციას“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების საწყის ნაბიჯებს. განსაკუთრებით მათ მიერ კორუფციის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლას, პოლიციურ რეფორმას, აჭარის ე.წ. შემოერთებას, ერთიანი ეროვნული საგანმანათლებლო საგამოცდო სივრცის შექმნას, მაგრამ, როდესაც ყველა ეს რეფორმა ხალხის წინააღმდეგ შემოტრიალდა და ტოტალიტარული რეჟიმის კონტურები შეიძინა, მე უკვე ველარ ვგრძნობდი თავს ამ სისტემის ნაწილად. ვერ ვეგუებოდი მათ მიერ დანერგილ ე.წ. ჩაშვების, დასმენებისა და მიყურადების ფაქტებს სამსახურში. ამას დაემატა მხარის ხელმძღვანელების მიერ ოზურგეთში მიმდინარე მეგაპროექტის — წყალმომარაგების პროექტის მიმართ არასწორი დამოკიდებულება. ვგრძნობდი, რომ გეოლოგიური დასკვნის გარეშე მიმდინარე მსგავსი პროექტი მილიონობით ლარის მართლაც წყალში გადაყრა იქნებოდა. დრომ აჩვენა, რომ მართალი ვიყავი. ყველაფერმა ამან ერთად განაპირობა ჩემი განცხადება სამსახურიდან წასვლის შესახებ და ვიყავი ბედნიერი რომ 2007 წლის ზაფხულში გავერიდე „ნაციონალური მოძრაობის“ დანაშაულებრივ რეჟიმს. ვაცხადებ კიდევ ერთხელ, ყველას საყურადღებოდ, არავის გამოვუგდივარ სამსახურიდან, ჩემი გადაწყვეტილებით წამოვედი! ამის დასტურია ისიც, რომ ჩემი განცხადება სამსახურიდან წამოსვლის შესახებ რეაგირებულ იქნა ორ კვირაზე მეტი ხნის შემდეგ.

როგორც წლების შემდეგ აღმოჩნდა, მსგავსი საქციელი, მსგავსი გაბედულება, საზოგადოებამ და ბიძინა ივანიშვილმა ერთეულების მორალურ გმირობად შეაფასა. ამიტომაც ცდილობენ ნაცმოძრაობის იდეოლოგები და მათი დაკვეთით მომუშავე მედიის მუშაკები რამნაირად გააუფასურონ ჩემი ეს ქმედება.

**—როდის დაიწყო თქვენი პოლიტიკური ცხოვრება?**

—გმადლობთ სწორად დასმული შეკითხვისათვის. ალბათ შოთა გოგიბერიძის პოლიტიკური ცხოვრება დაიწყო 2007 წლის 2 ნოემბერს, როდესაც მონაწილეობა მივიღე დედაქალაქში, რუსთაველის გამზირზე მიმდინარე საპროტესტო აქციაში. ამის შემდეგ მონაწილეობა მივიღე 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში და ჩემი პოზიცია გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატის სასარგებლოდ ღიად დავაფიქსირე ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში ჩატარებულ წინასაარჩევნო ღონისძიებაზე.

რაც შეეხება 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებს, ჩემს მეგობრებთან გიგა გირკელიძესთან, აკაკი თოიძესთან, იური ვაზაგაშვილთან, მალხაზ ჯანგირაშვილთან, მალხაზ კუხიანიძესთან ერთად ჩართული ვიყავი გაერთიანებული ოპოზიციის მაჟორიტარი კანდიდატის ლაშა ჩხარტიშვილის საარჩევნო კაპანიაში.

ამავე დროს ჩამომიყალიბდა რწმენა, რომ ნაციონალური რეჟიმის წინააღმდეგ თუნდაც პერმანენტული, კამპანიური ბრძოლა ვერ მოიტანდა შედეგს და აუცილებელი იყო გავმხდარიყავი ნაწილი ორგანიზებული, ეროვნულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული, კონკრეტული სამოქმედო გეგმის მქონე რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციისა, როგორადაც მიმაჩნდა პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმი,“ მათთან ერთად აქტიურად ჩავერთე თბილისში 2009 წლის გაზაფხულზე მიმდინარე ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციებში. ჩემს მეგობრებთან ერთად წარვმართავდი ამ აქციების ერთ — ერთ მოზრდილ სეგმენტს თავისუფლების მოედანზე.

ოზურგეთში დაბრუნების შემდეგ 2009 წლის ზაფხულში, გიგა გირკელიძესთან, გია ჯიჯიეშვილთან, ზაზა გობრონიძესთან, თენგიზ კაპანაძესთან, აკაკი სიხარულიძესთან და სხვა ჩემს ერთგულ მეგობრებთან ერთად დავაფუძნეთ ეროვნული ფორუმის რაიონული ორგანიზაცია და იმთავითვე ჩავერთეთ ადგილობრივ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. სიამაყით მახსენდება ჩვენი აგრესიულად კრიტიკული საპროტესტო დამოკიდებულება მაშინდელი მთავრობის იმ განკარგულების მიმართ, რომლის მიხედვითაც ე.წ. ლეკიანის მიწების 86 ჰექტარი უნდა გადასცემოდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შემდგომი პრივატიზების მიზნით. ჩვენი აქციის შემდეგ მთავრობა იძულებული გახდა გაეუქმებინა ეს გადაწყვეტილება. გარდა ამისა, აქტიურად ვმუშაობდით რაიონის მოსახლეობასთან და ორგანიზებას ვუკეთებდით ჩვენი ლიდერების კახა შარტავას, რევაზ შავიშვილის, გუბაზ სანიკიძის და აწ განსვენებული ნიკო ორველაშვილის შეხვედრებს ოზურგეთელებთან. ვქმნიდით შიშის დაძლევის უნარის მქონე საპროტესტო ელექტორატს — კრიტიკულად განწყობილ, ჭეშმარიტი დემოკრატიისათვის აუცილებელ საზოგადოებრივ ჯგუფებს, რომელთა მეშვეობით ვაპროტესტებდით ნაცრეჟიმის ზეწოლებს მედია საშუალებებზე. კერძოდ ღია საპროტესტო აქციით დავუფიქსირეთ მხარდაჭერა „გურია — ნიუსს „რომლის დისტრიბუტორებსაც ავიწროებდნენ. ასევე მსგავსი აქციები ჩავატარეთ ტელეკომპანია „მაღის“ მხარდასაჭერად, რომელზედაც ზეწოლის გამო ტელეკომპანია შეზღუდული იყო ქართული ოპოზიციური არხის „მაესტროს“ ჩვენებაში. ჩვენ მხარდაჭერას ვუცხადებდით გაზეთ „ალიონსაც.“

**— თქვენი პოლიტიკური აქტივობა მართლაც კარგად ახსოვს საზოგადოებას. მაინტერესებს როგორ განვითარდა თქვენს ირგვლივ მოვლენები ბატონი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ სივრცეზე გამოჩენის** შემდეგ?

—ეს გამოჩენა კი არა, ბატონო ნუგზარ გამონათება იყო. მიუხედავად ყველანაირ რესურსმოკლებულ ოპოზიციური პარტიების აქტივობებისა, ნაცრეჟიმმა მოახერხა მედიასივრცის თითქმის სრული მიტაცება და პოლიტიკური ოპოზიციის დასუსტება, მარგინალიზაცია. ამიტომაც ბატონი ბიძინა ივანიშვილის განცხადება პოლიტიკურ ბრძოლაში მისი ჩართვის შესახებ იყო უფრსკულთან მიყვანილი, ომში დამარცხებული, ტერიტორიებ დაკარგული და დიქტატორული მმართველობის პირობებში ჩაყენებული ქართველი ხალხის ერთადერთი საიმედო გამონათება. ამან განაპირობა ჩემი გუნდის მყისიერი ჩართვა პროცესში. ჯერ კიდევ არ არსებობდა „ქართული ოცნება,“ როდესაც ჩვენ იური ვაზაგაშვილის მიერ ინიცირებულ სამოქალაქო გაერთიენება „ერთობის“ აქციაში ჩავერთეთ და რეგიონში 7500 ხელმოწერა მოვაგროვეთ ბიძინა ივანიშვილისათვის მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით ( სულ ქვეყანაში ასეთი 300 000 ხელმოწერა მოგროვდა ). ამ აქციის ყველა მონაწილე მიგვიწვიეს საზოგადოებრივი გაერთიანება „ქართული ოცნების“ დამფუძნებელ ყრილობაზე ფილარმონიის დიდ დარბაზში. დღევანდელ დღესავით მახსოვს, ამ ფორუმზე ბიძინა ივანიშვილის გამოსვლა, რომელშიც მან აღნიშნა, რომ ქვეყანაში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდოდნენ მხოლოდ ღირსეული, პატიოსანი და პროფესიონალი ადამიანები.

ძალიან ბედნიერები ვიყავით, როდესაც კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი — ქართულ ოცნებას „თავისი ორგანიზაციული სტრუქტურებით შეუერთდა ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაცია „ეროვნული ფორუმი“...

თუ შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები და რა წვლილი შევიტანეთ ქართველი ხალხის საერთო გამარჯვებაში, ეს ყველა ოზურგეთელისათვის ცნობილია და აღარ განვმეორდები.

**—როგორ შეაფასებდით საარჩევნო მარათონში თქვენს კონკურენტებს?**

— აბა რა გითხრათ, ჩემს შეფასებაზე მეტად მნიშვნელოვანი ამომრჩევლის მიერ გაკეთებული შეფასებებია. ჩემს თანამებრძოლებთან ერთად, ხალხთან ერთად მიღწეული ერთ ერთი მთავარი ფასეულობა სწორედ დემოკრატიული საარჩევნო გარემოს შექმნა გახლავთ. ვფიქრობ სწორედ ამ მიღწევის შედეგია ასეთი კონკურენტ- უნარიანი საარჩევნო სივრცის ჩამოყალიბება ოზურგეთში. რაც შეეხება ამომრჩეველს, ის დიდი პასუხისმგებლობით უნდა მიუდგეს თავის გადაწყვეტილებას. სხვა არჩევნებისაგან განსხვავებით, **ადგილობრივი არჩევნები სწორედ იმითაა სპეციფიური, რომ ხალხის მიერ არჩეულ პირს ფაქტობრივად ყოველდღიური შეხება აქვს ჩვენს ყოფა - ცხოვრებასთან და მის უნარებზეა დამოკიდებული როგორ ვიცხოვრებთ მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში. ამიტომაც უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი ხათრი: მეგობრული, მეზობლური, ნათესაური, სხვა ინტერესებით გამოწვეული და წინ უნდა წამოვიდეს საკუთარი ოჯახის, უბნის, ქალაქის წინაშე პასუხისმგებლობა. ხათრით გაკეთებულმა არჩევანმა არაერთხელ დაღუპა ქვეყანა. ნუ გავიმეორებთ იგივე შეცდომას. ყველა თქვენგანმა იცის შემოთავაზებული კანდიდატების განვლილი გზისა და ცხოვრების შესახებ, იცის მათი უნარ — ჩვევები და თვისებები. ნუ ჩავიგდებთ თავს კიდევ რამდენიმე წლით საეჭვო და მძიმე მდგომარეობაში. გავაკეთოდ ის არჩევანი, რომელსაც არა ხათრი არამედ სინდისი გვკარნახობს. ეს სწორედ სინდისისა და ღირსების არჩევნებია.**

**— როგორ ფიქრობთ, არის საშიშროება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების რომელიმე კანდიდატის სასარგებლოდ?**

—მიმაჩნია, რომ მსგავსი მცდელობების შემთხვევაში, ქვეყანას ნამდვილად დაემუქრება 2012 წლამდე პერიოდში დაბრუნება. გარდა იმისა, რომ ეს იქნება საარჩევნო კანონმდებლობისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების აშკარა დარღვევა, ეს ამავე დროს იქნება „ქართული ოცნების“ უკვე შესრულებული დანაპირების — ძალოვანი, სამართალდამცავი და უსაფრთხოების სამსახურების დეპოლიტიზაციის თემის კვლავ არაჯანსაღ წრეზე გატანა. არ დაგიმალავთ ჩემამდე აღწევს რაღაც ინფორმაციები ზემოთჩამოთვლილი კატეგორიის ადგილობრივ კაბინეტებში მოქალაქეებთან ე.წ. შინაურული საუბრების შესახებ. ვაფრთხილებ ამ კაბინეტთა მესვეურებს, რომ მსგავსი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, ჩვენ გამოვიყენებთ ყველა რესურსს, რათა გავასაჯაროოდ და ყველა სადამკვირვებლო სტრუქტურას, აგრეთვე უწყებათაშორის სახელმწიფო კომისიას მოვთხოვთ უმკაცრეს რეაგირებას. გარდა ამისა გვაქვს ინფორმაცია, რომ იგივე მეთოდებით რითაც სარგებლობდენ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები, მოქმედებს სახელისუფლებო გუნდი, კერძოდ, ისინი საჯარო სამსახურის მუშაკებს, ზოგადად ამომრჩევლებს აიძულებენ სახელისუფლებო კანდიდატის მიმართ განწყობა დააფიქსირონ საკუთარი პირადობის მოწმობების დარეგისტრირებით.

მოვუწოდებ ოზურგეთელ ამომრჩეველს არ მიიღოს ამ ბინძურ თამაშში მონაწილეობა. უნდა იცოდეთ, რომ გარდა უფლებამოსილი პირისა (პოლიციის მუშაკი), და ისიც განსაკუთრებული ოპერატიული ვითარების დროს, არავის აქვს უფლება მოითხოვოს მოქალაქის პირადობის მოწმობა. მსგავსი ქმედებები ნამდვილად არ შეუწყობს ხელს არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას, რაც თავისთავად ჩვენი, ჯერ კიდევ მყიფე, სახელმწიფოებრიობის და ქვეყნის ევროპული მისწრაფებების საწინააღმდეგოდ გადადგმულ ნაბიჯებად შეფასდება.

**რაც შეეხება ამომრჩევლის მოსყიდვის თემას — ეს ადამიანის ღირსების შემლახველი ფაქტი უმკაცრესად ისჯება სისხლის სამართლის კანონით. „ამომრჩევლის მოსყიდვა,“ სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებაა და ისჯება როგორც გამცემი ისე მიმღები. თუ ჩემი კონკურენტებიდან რომელიმე მიიჩნევს, რომ თავის საარჩევნო კამპანიის არსენალში ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი მოსყიდვა უნდა იყოს, აქვე ვაფრთხილებ: ნურავის ექნება ასეთი მდაბალი წარმოდგენა ოზურგეთელებზე — ჩვენ არ ვიყიდებით და არც ჩვენს მომავალს ვყიდით!**

**—ბატონო შოთა, მოდით ვისაუბროთ იმაზე თუ რას პირდებით თქვენს ამომრჩეველს და რატომ უნდა მოგცეთ მან ხმა?**

—უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რაზეც ამდენ ხანს ვისაუბრეთ. იმიტომ, რომ ნამდვილად მაქვს შესაძლებლობები და უნარი ღირსეულად ვემსახურო ჩემს ქალაქს. ვიყო მათი დაქირავებული საჯარო მოხელე და ჩემთვის ჩვეული თავმდაბლობით, პატიოსნებით, ერთგულებითა და შრომისმოყვარეობით მოვახმარო ოზურგეთელებს ჩემი პროფესიული გამოცდილება.

ხოლო თუ რას ვპირდები მათ, ეს არის ჩემი ზრუნვა ქალაქის განვითარებისათვის: მრავალბინიანი კორპუსების კეთილმოწყობისათვის, მათი ეზოების მოწესრიგებას. ყბადაღებული წყალმომარაგების საკითხის მოგვარებას. მხოლოდ მე ვიცი, ზუსტად რა უნდა გაკეთდეს ამისათვის. ქალაქში სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო ქსელის მოწესრიგებას. ტროტუარებისა და პარკების, ბაღებისა და სკვერების მოვლა პატრონობას. შიდა გზების დაგებას და გარე განათების პროცესის დასრულებას. ფეხბურთის მოყვარულთათვის ცენტრალურ სტადიონზე ნორმალური სკამების დამონტაჟებას. ყველა ინფრასტრუქტურული და ადგილობრივი საკანონმდებლო პირობების ჩამოყალიბებას მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნისა და მოქალაქეთა დასაქმებისათვის. სოციალურად დაუცველთა მიმართ

▶▶▶ გვ-6

დაფინანსებული ფართი



# „გავაკეთოთ ის არჩევანი, რომელსაც არა ხათრი, არამედ სინდისი გვკარნახობს“

ზრუნვას. ვეტერანთა და ახალგაზრდობის ინტერესთა დაცვას.

გავაკეთებ ყველაფერს, რათა ოზურგეთს ფოლკლორის ქალაქის გარდა დაუბრუნდეს საუნივერსიტეტო ქალაქის სტატუსი. ვიზრუნებ ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში სავენტილაციო და გათბობის სისტემების დამონტაჟებაზე, თვით ამ ისტორიული შემოქმედებითი კოლექტივის პირობების გაუმჯობესებაზე. კინოთეატრის ამოქმედებაზე. ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, ეთნოგრაფიულ — არქეოლოგიური, ისტორიული სიმდიდრის შენარჩუნებასა და მოვლაზე. ყველა სახელოვნებო და შემოქმედებითი დარგის განვითარებაზე. აგრეთვე ყურადღება მიექცევა შიდა საქალაქო ტრანსპორტით ქალაქის უბნების უზრუნველყოფას. ჩვენი საქმიანობის ერთ — ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იქნება სპორტის სხვადასხვა სახეობათა, მათ შორის ტრადიციულ სახეობათა ხელშეწყობა და განვითარებაზე ზრუნვა.

გავაკეთებთ ყველაფერს ამომრჩეველთან შეთანხმებით. შევქმნით ქალაქის მერიასთან არსებულ სამოქალაქო სათათბიროს ყველა უბნისა და ქუჩის წარმომადგენლობით. მათთან ერთად განვიხილავთ ქალაქში ყველა სახის კომუნალურ და ადგილობრივ სამომხმარებლო ტარიფებს. ქალაქის საკრებულოსთან ერთად ვიმუშავებთ მოსახლეობისათვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებაზე. უდიდესი ყურადღება მიექცევა ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებს — ეს მიმართულება ჩვენი საქმიანობის ერთ—ერთი პრიორიტეტი იქნება.

უცილებლად დავიწყებთ ფიქრს მუნიციპალური ჯანდაცვის ობიექტის შესახებ, ეს იქნება პოლიკლინიკური, ჰოსპიტალური თუ რაიმე მსგავსი სახის ობიექტი, სადაც სოციალურად დაუცველ და შეჭირვებულ მოქალაქეებს ექნებათ უფასო ან იაფი მომსახურების მიღების საშუალება.

**— რამდენიმე სიტყვით თქვენი პირადი ოჯახის შესახებ გვიამბეთ?**

—კი, ბატონო: 2001 წელს შევირთე ბრწყინვალე ოზურგეთული ოჯახის შვილი მაკა გოგუაძე, რომელიც პროფესიით ექიმია. ძალზე თბილად გვახსენდება ორივეს ჩვენი მეუღლეობის პირველი წლები. მიუხედავად ჩემი მაღალ თანამდებობებზე მუშაობისა, ყოველთვის მხოლოდ ჯამაგირზე ვიყავი დამოკიდებული. არასოდეს ვყოფილვარ განებივრებული მატერიალური კეთილდღეობით, ჩვენი ოჯახური ცხოვრება მეგობრობის ქუჩაზე არსებული კორპუსის ოთახნახევრიან ნაქირავებ ბინაში დაიწყო. სწორედ იქ გვეწვია ბედნიერება ჯერ ქალიშვილის, ელენეს, ხოლო შემდეგ ვაჟის, გურამის შეძენისა. ამჟამად ჩვენს საკუთარ ბინაში ვცხოვრობთ ფარნავაზ მეფის ქუჩაზე. შვილები 12 და 11 წლისანი არიან. გვსურს ისინი ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილებად აღვზარდოთ.

მყავს ერთი ძმა გოჩა გოგიბერიძე, რომელიც ასევე ექიმია და თავის ცოლშვილთან ერთად ცხოვრობს დედაქალაქში.

მე თვითონ ძირძველი „მოიდანახელი“ ვარ. ჩვენს საგვარეულო ოჯახში ჩემი ბიძაშვილი გიორგი გოგიბერიძე და სამწუხაროდ ნაადრევად დაქვრივებული ჩემი ბიცოლა დოდო გოგიბერიძე ცხოვრობენ.

— მადლობა ვრცელი ინტერვიუსათვის. გისურვებთ წარმატებებს!

ესაუბრა **ნუგზარ ოთარიშვილი**

# ინტერვიუ საკუთარ თავთან, ანუ ფიქრებში დანახული რეალობა

**ნინო ნიკოლაიშვილი**

დრო სწრაფად გარბის და ფიქრებში კვლავ იშლება რეალობა.რა არის ცხოვრებაში კარგი და რა შეიძლება შეიცვალოს უკეთესისკენ, სურვილები კვლავ ერთმანეთს ენაცვლებიან. საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება მივიღე და რეალობაში რეალურის დანახვას ვცდილობ. ეს უკვე მეორე ინტერვიუა,საკუთარ თავთან, მეორეა რესპონდენტიც და ისიც ქალია.

— შენ უკვე დეპუტატობის კანდიდატი ხარ. თანაც ქალი. შენი კონკურენტები საკმაოდ ძლიერნი არიან. არ ფიქრობ, რომ გაგიჭირდება?

— ამაზე ბევრი ვიფიქრე და გაცილებით ადრეც. ჯერ იმ საქმის შესწავლა დავიწყე, საითკენაც უნდა გადამედგა ნაბიჯი.,და ამაში სამოქალაქო საზოგადოება დამეხმარა. თანდათან ვაცნობიერებდი იმ უფლება-მოვალეობებს, რაც დეპუტატის სახელს უკავშირდება.პირველი ბარიერის გადალახვა ოჯახში მომიხდა, სადაც თავდაპირველად ხმები გაიყო. ახლა მთელი ოჯახი მიჭერს მხარს, თემში აქტიური ადამიანებიც შემოვიკრიბე გარს. მათთან მუშაობა არ გამჭირვებია, რადგან კარგად მიცნობენ.

—მართალია გიცნობენ, მაგრამ მაინც, როგორ აპირებთ მოსახლეობის დარწმუნებას, რას ჰპირდებით მათ,,რომ მხარი თქვენ დაგიჭირონ და არა სხვას?.

—კანდიდატები დადიან თემში და დაპირებების კორიანტელს აყენებენ. ჩვენთან მგრძნობიარე თემებია სოციალური ფონი, შუქი, გაზი, წყალი, გზა... ისინიც ამაზე აკეთებენ აქცენტს, ყოფილი დეპუტატიც მათ მსგავსად საუბრობს. თუმცა არანაკლებ მძიმე პრობლემად სოფლიდან ახალგაზრდების მიგრაცია მესახება. გული მწყდება, რომ არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა წავიდა, მათგან ზოგი უცხოეთში, ზოგიც ქალაქში, რადგან აქ ვერანაირი პერსპექტივა ვერ დაინახეს,. არადა მთლად ასე არ არის. ერთად ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეიძლება.

— რით განსხვავდება თქვენი წინასაარჩევნო პროგრამა სხვებისგან?

—წელანაც ვსაუბრობდი დაპირებების კორიანტელზე. მე კი ზუსტად ვიცი, რა შეუძლია გააკეთოს დეპუტატმა და რა არა. აქედან გამომდინარე შევადგინე ჩემი პროგრამა.

რას ვპირდები ჩემი არჩევის შემთხვევაში?

მინდა ჩემი თემის სიკეთით ყველამ ერთნაირად ისარგებლოს და კიდევ, ყველამ თავად იგრძნოს საკუთარი თავი თემის პატრონად..

— ოჯახის საქმეს როგორ გადაანაწილებ?

—ჩვეულებრივად, ადამიანი ჯერ საკუთარი საქმეებით ფასობს და მერე ოჯახით. ჩემთვის ორთავე ძვირფასია.

— დეპუტატობის შემთხვევაში ითანამშრომლებთ თუ არა საკრებულოში სხვა ქალბატონებთან,— აუცილებლად. მიხარია, რომ მხოლოდ მე არ ვარ ქალი კანდიდატი. წარმატებებს ვუსურვებ მათ.

***

ასე იფიქრა სხვა ქალბატონებმაც და... გადაწყვიტეს კიდეც.დღეს, უკეთესი მდგომარეობაა წინა წლებთან შედარებით. ქ. ოზურგეთსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთიან, როგორც მაჟორიტარ, ასევე პარტიულ სიაში 357 კანდიდატიდან 117 ქალია. არიან დამოუკიდებელი კანდიდატებიც. არჩევანი საზოგადოებამ უნდა გააკეთოს. მნიშვნელოვანია, რამდენი ქალი მიიღებს დეპუტატის მანდატს.

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს პირობებიან აუქციონს

| № | დასახელება | მისამართი | მიწის ნაკვეთის ფართი მ2 | ძირ. შენობის ფართი მ2 | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) | "ბე" (ლარი) 30% | "ბიჯი" (ლარი) 5% | მონაწილის ბილე-თის ფასი | მიწის სარე-გისტრაციო ნომერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | შპს „სასტუმრო გურია"-ს პარტნიორული წილის 100% | ქ.ოზურგეთი გ. ეპისკოპოსის №1 ი. პეტრიწის №7/გ | 2900 | 3887 | 10000 | 3000 | 500 | 50 | 26.26.47.062.01.501 |

**დამატებითი ინფორმაცია:**

1. საზოგადოებაზე რიცხული კრედიტორული დავალიანება 92491.74 ლარი

**საააუქციონო პირობები:**

ა. საპრივატიზებო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან ოცდაათი (30) კალენდარული დღის ვადაში
ბ. პროფილის ნაწილობრივი შენარჩუნება და ადგილობრივი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა
გ. შემსყიდველმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვიდან 12 თვის ვადაში - შენობის ექსტერიერის (გარე ფასადების) რეაბილიტაციის სამუშაოები და უზრუნველყოს ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვება
დ. ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება (დასაქმებულთა არანაკლებ 90%-ისა)
ე. არნიშნულ ობიექტზე ინვესტიციის განხორციელება არანაკლებ 500 000 ლარის ოდენობით ( 12 თვის ვადაში).

**საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმია:**

ა. ვალდებულების აღება საააუქციონო პირობების დაკმაყოფილებაზე.
ბ. აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე მაღალი საფასურის შეთავაზება.

**აუქციონში მონაწილეობა:**

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებას, რომელთა ქონებაში საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%—ზე ნაკლებია.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;
2. „ბე“- ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
5. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
6. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)

— აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე მაღალი საფასურის შეთავაზება :\
— „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი შეტანილი უნდა იქნეს ანგარიშზე ა/ნ 300663205
— დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ კომისიაში“
მისამართი. ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.
— აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე შაბათ—კვირის გარდა 2014 წლის 27 მაისიდან 2014 წლის 11 ივნისის 12 სთ-მდე.
— აუქციონი ჩატარდება 2014 წლის 11 ივნისს 14 სთ-ზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში.
— ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემი კომისია“ ტელ: 895908977, 895305033, 895906305.

ლ

# მედია და ბავშვთა უფლებები

მარი კოძოევი

21 მაისს „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის" საკონფერენციო დარბაზში გაიმართა საჯარო ფორმატის დებატი რეზოლუციაზე-„მედიაში ბავშვთა უფლებების გაშუქების სტანდარტი დაცული უნდა იყოს"



დებატებში ლიდერთა სკოლის მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ჟურნალისტები თეა იოსელიანი და გიორგი გირკელიძე.

დებატის თემა ახალგაზრდების მედიაზე დაკვირვებით შეირჩა. ჩვენს დროში როცა საქველმოქმედო მიზნით, მასმედიის მიერ ხშირად შუქდება არასრულწლოვანთა პრობლემები-რამდენადაა დაცული ბავშვის უფლებები? ილახება თუ არა მოზარდის ღირსება მისი რამე ფორმით იდენტიფიცირების შემთხვევაში? რამდენად გამართულია სტანდარტი? ეს ის ძირითადი კითხვებია, რომელთა შესახებაც წარიმართა დი-სკუსია

საჯარო ფორმატის დებატის სტრუქტურის მიხედვით, თავდაპირველად მომხსენებლებმა წარმოადგინეს საკუთარი პოზიციები რეზოლუციასთან დაკავშირებით. მეორე მომხსენებლების გამოსვლის შემდეგ, აუდიტორიის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ კითხვებით მიემართათ მომხსენებლებისთვის. ხოლო მესამე ნაწილში დამსწრეებს შეეძლოთ გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები რეზოლუციასთან და მოდებატეების მიერ პოზიციის დაცვასთან დაკავშირებით.

# თემურ ბოლქვაძის შემოქმედება

,,....და დამრჩა მხოლოდ შენი სურათი, ჩემი თვალებით გადაღებული...“



ვის შეეძლო ასეთი სულში ჩამწვდომი სტრიქონების შემოთავაზება „ალიონის“ ფართო მკითხველისთვის, თუ არა ქ-ონ ეთერ ქადეიშვილს.

ვფიქრობ, გამოხმაურება ძალზე საჭიროა.

ჩემს პატარა და ულამაზეს სოფელს საკმაოდ კარგი წარსული აქვს. მრავალი სასახელო და გამორჩეული პიროვნება ქმნიდა ამ ისტორიას.

მინდა მოგითხროთ პიროვნებაზე, რომლის შემოქმედებაც ყველა თაობამ უნდა იცოდეს.

ადამიანი, რომელსაც ძლიერ უყვარდა თავისი სამშობლო, თავისი კუთხე, ლამაზი სოფელი, რომლის კეთილმოწყობის უამრავი გეგმა განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ დარჩა მისი ლექსები:

„იყოს უსაშველო ჩემი სიყვარული,
იყოს უსაშველო, როგორც დედის გული.
ღმერთო, გამაგონე! — წრფელი გულით თქმული
ჩემი ერისა და ხალხის სიყვარული.

წერდა ილიაზე, გალაკტიონზე, ქართველ ხალხზე უზომოდ შეყვარებული.

**ილიას**

შენთან შესაკითხად მოვლენ თაობები
და ასე იქნება, მწამს.
გულის ფეთქვა იყავ მთელი საქართველოს,
მწყურვალს აწოდებდი წყალს,
შენი დაწყებული საქმის ეროვნულის
ფესვები ახლა ჩანს.
შენი დანთებული სიმართლის ლამპარი
ახალი სიმხურვალით მწვავს,
კვლავ დაუდექი ენის სიწმინდეს და
რწმენა ჩაუნერგე ხალხს.
სამშობლოს გასაჭირი გქონდა სატკივარი
თავი ანაცვალე მას.
ყველა პოეტისთვის ხარ საწაული
მწერალი შეჰყურებ მთას,
შენთან შესაკითხად მოვლენ თაობები
და ასე იქნება, მწამს.
1986წ. 31 იანვარი.

და საოცარია ლექსი გალაკტიონზე, რომელსაც მან სათაურად შეურჩია:

**თავშეყრა იყო პოეტების საიქიოში**

გალაკტიონი ვინახულე გუშინ სიზმარში,
კვერთხით ხელში და მუზების ტახტზე დამჯდარი,
თავშეყრა იყო პოეტების საიქიოში
ჩვენგან წასული სალოცავი მგოსანთ ლაშქარის.
გოგლა ნატრობდა ნატვრის ხეს და გაშლილ პურ-მარილს
ბესარიონი ცეცხლს აფრქვევდა - კრიტიკის ქარცეცხლს,
გრგვინავდა ლომი საქართველოს — გალაკტიონი,
მეწყერს ნატრობდა ტიციანი და ფიქრებს ანცებს.
ეს ნონეშვილი აღლეგრძელებს მშობლიურ კეთხეს,
ჯარისკაც მირზას ფარაჯაც კი არ გაუხდია,
თბილისურ ჰანგებს გრიშაშვილი ღიღინით აფრქვევს
ლადოს სტროფები სანთელივით ჩამოუქნია.

მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მას მუზების ღმერთი აწერინებდა: ,,სანამ სამშობლოს დავჭირდები, შეღავათს არ მივცემ თავს.“

ის სამშობლოს თავისუფლებაზე ოცნებობდა:
,,ღერთო! ნუღარ დაგვაჭირვებ ხმალის ქნევას,
მუხლმოყრილი მშვიდობას გევედრები!“

მასაც სტკიოდა სამშობლოს სატკივარი. ეს ჩემი სოფლის თხინვალის მკვიდრის თემურ ბოლქვაძის შემოქმედების ერთი პატარა მონაკვეთია. პატარა, მაგრამ უსასრულო. მისი ცხოვრების განვლილი გზა მთლიანად დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს ეკუთვნის, მან ლექსებით დაწერა თავისი ბიოგრაფია.

ჩემი სატკივარი და საფიქრალი ჩემი ერია, ჩემი საქართველო

ვიცინი, ვტირი, ვფხიზლობ თუ ვთვრები
ფიქრმა ქვეყანაზე აღარ მომასვენოს,
ხნულში მატაროს და ვაზი მაკრეფინოს
ყრმები მალოცვინა აკვანში,
პური მათესვინა, კალო მალეწვინა,
კვერი მაცხობინა ღადარში.
მთის წვერს ამიყვანა ორბთა სიმაღლეზე,
მკერდში ჩამახუტა ჭალები
ერთი მაბანავა დედა მდინარეზე,
ცხვრების მათვლევინა ფარები,
ჯვარი მაწერინა სულყველასთვის
ფიქრი სევდიანი გვაშოროს,
მომთხოვ? თავს გავწირავ შენი გულისათვის
ოღონდ შენ იხარე სამშობლოვ!

დაუსრულებლად შეიძლება წერო და ისაუბრო მის პოეზიაზე.

დამაყარე, გეხვეწები აპრილის თვევ
დამაყარე... ყვავილების თქეში.
ამაფეთქე - ვარდისფერად ატმის ტოტზე
და გამათბე გაზაფხულის მზეში.
მასუნთქინე ოხშივარი მიწის ბელტის
სიყვარული გააღვიძე ჩემში.
ნუშის ტოტებს დაათოვე ყვავილები,
აატირე განასხლავი ზვრებში!
ატანტალე ფეხშიშველა ყრმა მიწაზე,
ლანქერს მიეც დასაბამი მთებში,
მზის სხივები დააყარე დილის ცვარზე,
მაყვავილე მეც აპრილის თვეში!

წავიდა და დაგვიტოვა ცრემლით, ტკივილითა და სიყვარულით სავსე ლექსები. უნდა ვეცადოთ, რომ მისი ლექსები ყველასთვის ახლობელი იყოს.

,,მე მოვედი, რომ ლექსებად დავრჩე ხალხში,
მზის სხივი ვარ, წყაროსთვალი და სიმღერა,
ღრუბელი ვარ და ელვა ვარ მაღლა ცაში,
ყვავილი ვარ და ტალღების შმაგი ღელვა,
ტკივილი ვარ და ცრემლი ვარ ჩემი ქვეყნის
და მე მისთვის სამსხვერპლოზე ჩემით ავალ,
მჭირდებიო — საქართველო ჩუმად მეტყვის,
მე კი ლექსებს დავტოვებ და ისე წავალ...“

სამწუხაროა, რომ უდროოდ, მართლაც ყველაფერი ისე მოხდა, მაგრამ ბედნიერებაა, რომ ის არსებობდა.

**ნონა ბაბილოძე**
თხინვალი.

# მურმან დუნდუა
## ახალი ლექსები



პოეტი მურმან დუნდუა სამი კრებულის ავტორია. ამჟამად გამოსაცემად მზადდება მისი ლექსების მეოთხე კრებული, რომელსაც მალე მიიღებს მკითხველი.

შენ უნდა გახდე ტაძარი
შენი სულისა წმიდისა
ეს არის აღთქმა მთავარი
და რჩევა ჩვენი უფლისა.
მაშინ შენ შექმნი ცხოვრებას,
ლაღსა და საწადს გულისა.

***

ჩვენ ჩვენი სიკვდილით
ვერავის დავსჯით,
რადგან ჩვენ ხვედრი
ასეთი გვერგო.
სიკვდილის დასჯა
სიკვდილით,
მხოლოდ იესომ შესძლო.

***

რუსული ანდაზის თარგმნა
ჩამომაშორეთ მე ,,მეგობრები“
მტერს კი მე თვითონ გავუსწორდები.

**ველოდი და არ გასწორდა**

ველოდი და არ გასწორდა
ბოღმისაგან გასკდა გული
ღარიბს ბატის ნახარში და
მდიდარს ძველი ინდაური.

***

აახმიანე ერო ფესვები,
მყრალ დებულებებს ნუ მისცემ ადგილს,
ქართველი კაცის ადათწესები
მართლმადიდებლურ მცნებებში გადის.

# ირაკლი ბებურიშვილის გახსენება



როცა სევდა შემომაწვება, ფიქრებს მივეცემი, ჩამოვჯდები და შენს ბავშვობას ვიხსენებ. თუმცა ძალიან სევდიანი და მძიმე ბავშვობა გქონდა შვილო ირაკლი. შენი მოვლენით დიდი სიხარული და სიყვარული შემოიტანე ბებურიშვილების ოჯახში. შემდეგ კი 4 წლიდან შენს ბავშვურ სულს ხელი მოჰკიდა იმ დროისთვის განუკურნებელმა სენმა. 7 წელი ვიბრძოდით დასამარცხებლად, თუ თბილისში, თუ ლენინგრადში, თუ მოსკოვში, ვაი თუ . . . . ამ ლოდინით დავიღალეთ. თითოეული ანალიზის შემდეგ თვალებში შემომციცინებდი, რომ დაგენახა მომავლის იმედი. მაგრამ ვაი, რომ დავმარცხდით.

40 წლის უკან, მაისის ერთ მზიან დღეს გამიცინე და მითხარი ,,დედი, წელს 11 აგვისტოს 11 წელი მისრულდება, ასეთი ჩემს ცხოვრებაში მეტი აღარ იქნება“-ო, მაგრამ უფალმა 22 მაისს გულში ჩაგიხუტა და დაბადების დღე მარადიულობაში გადაგიხადა.

ჩემო ბუთხუზა, ლამაზო, კეთილო შვილო, ბოლო წუთებში გულში ჩაგიკარი და ჩაგძახე — ირაკლი დედა, არ მომიკვდე მეთქი, შენს თავს ვფიცავ არ მოგიკვდებიო — მითხარი და აი, ამ სიტყვებით დაგვაშორა დედა-შვილი უფალმა.

იძინე ტკბილად ჩემო ტანჯულო, სულით ლამაზო შვილო. მოუთმენლად დაველოდები იმ ბედნიერ წუთებს, როცა მეორედ დაიბადები, გულში ჩაგიკრავ და მარად ერთად ვიქნებით.

თვალცრემლიანი ვუცქერ სურათებს,
მომაგონდება განვლილი წლები,
დრო თურმე ტკივილს ვერა, ვერ კურნავს
ჩემო ირაკლი სულ მენატრები.

შპს ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი ,,ანასეულის“ თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყოფილი თანამშრომელი **მარლენ დოლიძე** და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ ,,ალიონის“ რედაქცია იუწყება გაზეთის მეგობრის **მარლენ დოლიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ქართული ოცნება

# ერთად ვიზრუნოთ ოზურგეთზე!

# მერაბ ჭანუყვაძე



41









მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზრდება და ეს იქნება შესაძლებლობა, ორჯერ მეტი საქმე გავაკეთოთ ჩვენი სოფლების განსავითარებლად"



"ჩემი მიზანი რაიონის, კუთხის ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლაა"





"ხალხი ხელმძღვანელობს ხელისუფლებას და არა პირიქით "

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე